სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 150

ქ. ფოთი

27 სექტემბერი 2019 წ

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი" (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ბაკურაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ორგსერვისი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის, ხვიჩა ნემსაძეს სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ვადები:

1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის შესყიდვა.
1.2 საქონლის დასახელება - მაკრატლები (CPV-39241200); სახატავი ფანქრები (CPV-37822400); საკანცელარიო ნივთები (CPV-30192000); სახატავი ქაღალდი(CPV-30194320); საქაღალდე ბაინდერები (CPV-22851000).
1.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 10 ოქტომბრამდე.

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 100ლარი და 10თეთრი(ასი ლარი და 10თეთრი)ლარი. (იხ. დანართი №1)

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწნებული სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის საგნის ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
4.2.მომსახურეობის მიღება გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის დოკუმენტაციაზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის შესყიდვების სპეციალისტი -თეა ზარგინავა.
4.3.შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული პროდუქციის მიწოდების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლები-ვალდებულებები

5.1.შემსყიდველს უფლება აქვს:
მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ყველა პირობის დაცვა.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვის შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება.

-დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 დეკემბრამდე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.
7.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1.შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თეა ზარგინავა (კოლეჯის შესყიდვების სპეციალისტი).

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზებიოს შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.
12.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი :
სსიპ კოლეჯი „ფაზისი“	შ.პ.ს. ,,ორგსერვისი“
ს/კ 215101716	ს/კ 212693851
მის: ქ.ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54	მის: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №37
ბანკის დასახელება	ბანკის დასახელება
სახელმწიფო ხაზინა	სს ,, თიბისი ბანკი“
სუბსიდია	საბანკო კოდი
	TBCBGE22
	ანგარიშის ნომერი
	GE32TB0300000030467356
დირექტორი: /ნინო ბაკურაძე/	დირექტორი: /ხვიჩა ნემსაძე/

დანართი №1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	კატეგორიის/ ქვეკატეგორი ის კოდი	განზომი ლება	რაოდე ნობა	ერთეულ ის ფასი	ჯამი/ ლარი
1	საკანცელარიო მაკრატელი	39241200	ცალი	2	1.70	3.40
2	უბრალო ფანქარი	37822400	ცალი	20	0.15	3.00
3	ფერადი ფანქრები (პასტელი)		ცალი	2	1.60	3.20
4	ქაღალდის წებო	30192000	ცალი	5	0.40	2.00
5	საშლელი		ცალი	5	0.25	1.25
6	სათლელი		ცალი	10	0.25	2.50
7	სახაზავი 0.30 სმ. (ხის)		ცალი	20	1.70	34.00
8	ვატმანის ქაღალდი	30194320	ცალი	20	1.00	20.00
9	ფერადი ქაღალდი სხვადასხვა ფერის		შეკვრა	2	4.50	9.00
10	საქაღალდე ბაინდერი	22851000	ცალი	2	4.90	9.80
11	საქაღალდე სწრაფჩამკერი		ცალი	20	0.40	8.00
12	ფაილი		შეკვრა	1	3.95	3.95
					სულ ჯამი:	**100.10**

სულ თანხა - 100ლარი და 10თეთრი(ასი ლარი და 10თეთრი).

,,შემსყიდველი"

სსიპ კოლეჯი „ფაზისი"

დირექტორი:

/ნინო ბაკურაძე/

,,მიმწოდებელი"

შ.პ.ს. ,,ორგსერვისი"

დირექტორი:

_____ /ხვიჩა ნემსაძე/

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ)

ქ. ფოთი 27 სექტემბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შ.პ.ს. ,,ორგსერვისი“ -ს მიმართ.

სსიპ კოლეჯის „ფაზისი“

დირექტორი: /ნინო ბაკურაძე/

შესყიდვების სპეციალისტი: /თეა ზარგინავა/